3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე).
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აპრილის №17 განკარგულება.
5. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

ქედის მუნიციპალიტეტი
2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

N	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	დანდალო	დანდალო	347	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
2		ბალაძეები	116	10000	მოსაცდელის აშენება	3300	
					გარე განათების მოწყობა	6700	
3		გოგიაშვილები	194	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
4		მოსიაშვილები	169	10000	სასაფლაოების შემოღობვა და წყლის სისტემის მოწყობა	4100	
					წისქვილის რემონტი	3500	
					გარე განათების მოწყობა	2400	
5		ტაკიძეები	186	10000	გარე განათების მოწყობა	6250	
					მოსაცდელის აშენება	3750	
6		ხარაულა	639	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
7		ჯალაბაშვილები	310	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
		ჯამი		**80000**			
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
9		ახო	594	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
10		გეგელიძეები	428	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
11		გობრონეთი	251	12000	სასმელი წყლისათვის მილების შეძენა	2000	
					გარე განათების მოწყობა	2000	
					სოფლის სახლის რემონტი	8000	
12		კოკოტაური	545	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
13		ჩეტკიძეები	187	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
		ჯამი		**86000**			
14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
15		აბუქეთა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
16		ვარჯანისი	185	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
17		კანტაური	76	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	4000	
					გარე განათების მოწყობა	6000	
18		საბადური	57	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
19		ტიბეთა	154	10000	გარე განათების მოწყობა	9300	
					წისქვილისათვის ელექტრო ძრავის შეძენა	700	
		ჯამი		**68000**			
20	ზვარე	ზვარე	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
21		ვაიო	409	16000	გარე განათების მოწყობა	13000	

					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	3000	
22		ზესოფელი	205	12000	წისქვილის შენობების რემონტი (ორი წისქვილი)	8600	
					სასმელი წყლის წყალგამანაწილებელი აუზის მშენებლობა	3400	
23		კვაშტა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
24		სირაბიძეები	252	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
ჯამი				**64000**			
25	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
26		აქუცა	262	12000	სასოფლო კლუბის რემონტი	12000	
27		გულები	235	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	6000	
					გარე განათების მოწყობა	6000	
28		ზენდიდი	297	12000	სანიაღვრე არხის მოწყობა	12000	
29		კორომხეთი	160	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
30		ორცვა	232	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
31		ქედა	149	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	5000	
					გარე განათების მოწყობა	5000	
32		შევაბური	89	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	3100	
					საცალფეხო ბილიკის მოწყობა	6900	
33		ცხემნა	156	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
34		ძენწმანი	197	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	5000	
					გარე განათების მოწყობა	5000	
35		ხუნკუდა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
ჯამი				**118000**			
36	პ/მაისი	პ/მაისი	525	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
37		ზედა აგარა	106	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
38		კოლოტაური	473	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	13600	
					გარე განათების მოწყობა	2400	
39		ქვედა აგარა	109	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
ჯამი				**52000**			
40	მახუნცეთი	ქვ/მახუნცეთი	439	16000	ფანჩატურის მოწყობა 15 დასაჯდომით	4750	
					მინი სპორტული მოედნის განათება, დახაზვა	5750	
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	5500	
41		ზედა ბზუბზუ	306	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
42		ზ/მახუნცეთი	203	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
43		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
44		ქვედა ბზუბზუ	261	12000	გარე განათების მოწყობა	12000	

45		ქოსოფელი	72	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
46		მილისი	123	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
47		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
48		უჩხითი	260	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	7900	
					სანიაღვრე არხის ცხაურის მოწყობა	4100	
ჯამი				**106000**			
49	დოლოგანი	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	7800	
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	8200	
50		ჭალახმელა	162	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
51		ჭინკაძეები	202	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
ჯამი				**38000**			
52	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
53		აგოთა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
54		გოგინიძეები	95	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
55		კუჭულა	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
56		მეძიბნა	188	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
			ჯამი	**54000**			
57	მერისი	მერისი	300	12000	გარე განათების მოწყობა	1800	
					მოსაცდელის აშენება საკანდელიძეების უბანში	4500	
					წისქვილისათვის სამშენებლო მასალების შეძენა	1700	
					სასაფლაოზე მისასვლელი კიბეების მოწყობა	4000	
58		გარეტყე	89	10000	სოფლის სახლის მშენებლობა	10000	
59		გუნდაური	218	12000	გარე განათების მოწყობა	9000	
					პოლიეთილენის მილების შეძენა	3000	
60		ინაშარიძეები	200	10000	სოფლის სახლის სარემონტოდ თუნუქის სახურავის შეძენა	500	
					პოლიეთილენის მილების შეძენა	3500	
					გარე განათების მოწყობა	6000	
61		ნამონასტრევი	60	10000	საცალფეხო კიბის მოწყობა მოაჯირით	1400	
					გარე განათების მოწყობა	8600	
62		სილიბაური	117	10000	200 ლიტრიანი პლასტმასის წყლის რეზერვუარის შეძენა	250	
					პოლიეთილენის მილების შეძენა	3150	
					თუნუქის სახურავის შეძენა	300	
					მოსაცდელის აშენება	3300	
					გარე განათების მოწყობა	3000	
63		სიხალიძეები	148	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
ჯამი				**74000**			
სულ ჯამი				**740000**			

განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილება და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 14 მარტის №39 განკარგულება. შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მხარდჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივ რეგულაცია.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აპრილის N17 განკარგულებით დამტკიცებულია იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა რომლითაც დამტკიცდა მუნიციპალიტეტის სოფლებში (გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრისა) მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილება, მუნიციპალიტეტის მერის მიერ დასახლებების მიხედვით წარმოდგენილი შესაბამისი პროექტების (მათ შორის სავარაუდო ღირებულებების მითითებით) მიხედვით. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისათვის საჭირო გახდა პროექტების შეძენა 14 ღონისძიებაზე, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესყიდული იქნა, რის გამოც აუცილებელი გახდა საპროექტო ხარჯთაღრიცხვების მონაცემების გათვალისწინებით პროგრამაში შესაბამისი მონაცემების ასახვა და ცვლილებების შეტანა.

ასევე გაგიმარტავთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხა მოსახლეობის გადაწყვეტილებით უნდა მოხმარდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობას, რეაბილიტაციას და კეთილმოწყობას და სხვა ღონისძიებებს, რომელიც მოცემულია განკარგულების პროექტის დანართში.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში ცვლილებების შეტანა პროგრამით დამტკიცებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით შესყიდული

საპროექტო ხარჯთაღრიცხვების მონაცემების გათვალისწინებით გამოყოფილი თანხების კორექტირება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩამონათვალი თუ რომელ სოფელში რა ღონისღიება უნდა განხორციელდეს განკარგულების პროექტს დანართის სახით თან ერთვის.

ასევე განმარტავთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა, რომ განხორციელდეს აუცილებელია მისი დამტკიცება საკრებულოს მიერ.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 740 000 ლარს ფარგლებში.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 740 000 ლარს ოდენობით. რომლითაც განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია ან/და კეთილმოწყობა, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვა, ან/და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვა.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ 740 000 ლარს ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- ივნისი
დაბა ქედა

სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4-ე, პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძეს) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ.№1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 25 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.35.021.01.500) თანდართული შიდა აზომვითი ნახაზი შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე პირდაპირი განკარგვის წესით, სამი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

განმარტებითი ბარათი

სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუქტების შესაბამისად „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების „სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ რომელიც განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ.№1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 25 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.35.021.01.500) პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის პროცედურებს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ასევე გაგიმარტავთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ.№1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 25 კვ.მ. ფართის, კერძოდ 18,4 კვ.მ. საოფისედ და 6,6 კვ.მ. საერთო სარგებლობის (ს/კ21.03.35.021.01.500) გადაცემა უნდა განხორციელდეს სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე პირდაპირი განკარგვის წესით, სამი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.

გადასაცემი ფართის საბალანსო ღირებულება შეადგენს 6586,18 (ექვსიათასხუთასოთხმოცდაექვსი ლარი და 18 თეთრი) ლარს.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას, კერძოდ მერისათვის თანხმობის მიცემა ქონების გადაცემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ზ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ზ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რადგან ქონების სარწყავი არხების გამართული და ეფექტური მუშაობისათვის (მოქმედებისათვის) საჭირო ჩასატარებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს და მათი კაპიტალურ შეკეთებას უზრუნველყოფს ქონების მიმღები პირი.

ზ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ზ.ვ) ინდივიდუალური აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ინდივიდუალური აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილება თემურ ბერიძე.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
Legal Entity of Public Law
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ ო ტ ა რ ი უ ს თ ა პ ა ლ ა ტ ა
CHAMBER OF NOTARIES OF GEORGIA

KA010088752608919

საქართველო, ქ.თბილისი აკ.წერეთლის გამზირი N142 ტელ:(+995 32) 220 67 77
City of Tbilisi, Georgia 142, Ak. Tsereteli Avenue Tel (+995 32) 220 67 77

 # 16/6225 **29 / მაისი / 2019 წ.**

ქედის მუნიციპალიტეტის
მერს ბატონ ლევან გორგილაძეს

ბატონო ლევან,

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2^1 პუნქტის თანახმად, ახალდანიშნული ნოტარიუსი პირველი 3 წლის განმავლობაში სანოტარო საქმიანობას ახორციელებს მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 13 სექტემბრის №272 ბრძანებით იმავე წლის 3 ოქტომბრიდან ბექა წიწილაშვილი ნოტარიუსად დანიშნა დაბა ქედაში და შესაბამისად, იგი სანოტარო საქმიანობას ახორციელებს მითითებულ მუნიციპალიტეტში ამ ეტაპამდე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის #26 განკარგულებისა და ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 აპრილის #243 ბრძანების საფუძველზე საქართველოს ნოტარიუსთა პალატას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 3 წლის ვადით გადმოეცა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 25.00 კვ.მ. ფართი [მდებარე 26 მაისის №1-ში, საიდენტიფიკაციო კოდი 21.03.35.021.01.500]. ამ ეტაპზე უზუფრუქტის ვადა გასულია.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ კანონმდებლობის დანაწესი, ასევე, მოქალაქეთა ინტერესები [რომ მათ ქედაში დაუბრკოლებლად შეძლონ სანოტარო მომსახურების მიღება] და მითითებული ფართი სარგებლობის უფლებით კვლავ გადმოსცეთ საქართველოს ნოტარიუსთა პალატას.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე მარიკა გოგოლაძე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 21.03.35.021.01.500

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882014364497 - 10/07/2014 17:08:40

მომზადების თარიღი
18/07/2014 17:56:39

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
ქედა	დაბა ქედა			
21	03	35	021	01/500

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:283.00 კვ.მ.

მისამართი: რაიონი ქედა , დაბა ქედა , ქუჩა 26 მაისის , N 1

ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობები: **შენობა-ნაგებობა**

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012208115 , თარიღი 15/05/2012 09:48:33
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/05/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N67 , დამოწმების თარიღი:14/04/2011 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

მესაკუთრეები:
ქედის მუნიციპალიტეტი

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:		ფართი:	წილი:
ქედის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	**ფართი**	**სართული2,**	132.30 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014364497 თარიღი 10/07/2014 17:08:40	**უზუფრუქტუარი: ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბალების გაერთიანება** 446754209; **მესაკუთრე: ქედის მუნიციპალიტეტი;** საგანი:ფართი 62.5 კვ.მ;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/07/2014	**ქედის მუნიციპალიტეტის და ა/ი/პ "ქედის ბაგა-ბარების გაერთიანებას" შორის დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულბე N2, დამოწმების თარიღი10/07/2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,** **მიღება-ჩაბარების აქტი, დამოწმების თარიღი02/07/2014, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო,** **ბრძანება, რეესტრის ნომერი NN01-19/290, დამოწმების თარიღი02/07/2014, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- სჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დაბა ქედა. დ. აღმაშენებლის ქ. №11
ქედის ყოფილი სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების
ადმინისტრაციული შენობის
აზომვითი ნახაზი

მასშტაბი- 1:200



სართულიანობა	სარეგისტრაციო	სართულის სასარგებლო ფართი	საერთო სარგებლობის ფართი	არასაცხოვრებელი ფართი	ლოგისტიკური შენობის ფართი	ადმინისტრაციული შენობის განაშენიანება	ლოგისტიკური შენობის განაშენიანება
	64.6	132.3				206.2	

შ.პ.ს. "გეო"-ს დირექტორი ... ქათამაძე